

978/2

საქართველოს
ბავშვთა ჟურნალი



1978 აპრილი N3

განათი



ლენინი და ბიჭი

ა. კონონოვი

სოფლის შარაგზაზე კალათით ხელში ბიჭუნა მდიოდა. მთელი ეს გზა—მინდორი, მდინარე და მასზე გადაებული ბონდი ბიჭუნასთვის ნაცნობი და ახლობელი იყო. მაღლობზე, ხეებს შორის, დიდი, თეთრი სახლი მოჩანდა. უცებ ბიჭუნამ ცისფერპერანგა, ფლოსტეზიან მამაკაცს მოჰკრა თვალი. ბიჭი მიუახლოვდა უცნობს და თითქოს ტრაპანით უთხრა:

— თქვენ იცით, იმ სახლში ლენინი ცხოვრობს.

უცნობმა ქული გადაიწია და მზისაგან მოქუტულ თვალებში აღერსი გამოჟურთა.

«ალბათ ქალაქელია» — გაიფიქრა ბიჭუნამ.

— ეს ცნობილი ადგილია, — თქვა ხმამაღლა, — აქ ხშირად ჩამოდიან ქალაქიდან.

— აქაურობას არაფერი სჯობია, — დაეთანხმა ცისფერპერანგა უცნობი და გზა ერთად განაგრძეს.

— იცით, როგორ მინდა ლენინის ნახვა! — თქვა ბიჭუნამ.

— რად გინდა?

— როგორ თუ რად მინდა? არ უნდა ვიცოდე როგორია?

— ჩვეულებრივი კაცია, ამბობენ, მე და ლენინი ორი წვეთი წყალივით ვგავართ ერთმანეთს.

— როგორ თუ ჰგავხარ?

კაცს გაელიმა.

ბიჭუნამ ყურადღებით შეათვალიერა უცნობის ცისფერი პერანგი, ფლოსტეზი და თქვა:

— კი, მაგრამ, განა ლენინი ცისფერი პერანგით ივლის?! მას შავი ბიჯაკი ეცმება.

საუბარში გართულები თეთრ სახლს ისე მიუახლოვდნენ, არც გაუგიათ.

ცისფერპერანგა კაცი შეჩერდა და ბიჭუნას მიუბრუნდა:

— რა გქვია, ბიჭიკო, საით მიდიხარ?

— მიშა მქვია, კომპოსტოს მოსატანად მივდივარ.

— მაშ, ჩვენი გზა აქ გაიყოფა. ნახვამდის, მიშა!



ბიჭმა გზა განაგრძო. გზის პირას ქალი იდგა ფოცხით ხელში. ბიჭი მიუახლოვდა თუ არა, ქალი ფოცხს დაეყრდნო და ღიმილით ჰკითხა:

— რაზე გესაუბრებოდა ლენინი?

გაოგნებულმა ბიჭმა კალათი დადგა და ის იყო, უკან აპირებდა გაქცევას... მაგრამ ლენინი უკვე თვალს მიფარებოდა.

თარგმნი: **ენდი შაკითელა**

ქ. შაქარაშვილი
სახ. კომ. სსს. სსს. სსს.
ბიბლიოთეკა

საზიომ სიზღარა

ილია აროსია

ერთნაირად
აუღვარებს
არეპარეს
შეება ერთა,
დარიც დარობს,
სანეტროდ —
შის ნათელმა
შეგვართა.
ამ ჩაუქნალ
შუქისათვის
უბრძოლიათ,
უფიქრით,
მას ამ ქვეუნად
სიცოცხლის და
შეკვდაუბის
შუქი შქვია.
ცის კიდედუ
აღმართულ შთებს,
სამშვიდობო
ადგას დილა,
სალსთა მტკიცე
შეკობრობის
ურცული ბაღი
კადაშლილ!





კვიპაზი ინანიშვილი

ბათურიც სოფელში ცხოვრობს, პირველ კლასში დადის. სკოლაში წასასვლელად რომ შემხადება, ჯერ საქმელებს ჩააწყობს ჩანთაში,—პურს, ყველს, ვაშლებს,—მერე წიგნებს და რვეულებს ჩაქუუნავს. ისეთი წითელი, დაბერილი ლოყები აქვს, ვინც კი შეხედავს, ყველას უხარია,—უპ, შენი ჭირიმე, ბიჭოო!— ყველა იმ ლოყებზე უთათუნებს ხელს. ბათურის თავისი ლოყები არ უყვარს, მაგრამ ამის გამო ჭამას ვერ მოუკლებს, მით უმეტეს, ზამთარი რომ მოახლოვდება და ღორის მწვადობა დაიწყება. ღორის მწვადის სუნს შორიდან იცნობს, გამოიქცევა და, ჯერ შეწვა სად არის, ის უკვე მაგიდასთან ხის.

ზამთარში, ყინვებში, ყველანი შინ შეიბუდებენ, პატარებიც და დიდებიც, ბათური კი ყოჩაღად დააბოტებს ხან ბაღში, ხან—ხევში, ხანაც—ხმელ ანწლიანში. მშვილდ-ისარი ბუკვს, იმ მშვილდ-ისრით ჩიტებს დასდევს. მიგაბრება მოკუხული, სუნთქვაშეკრული,

ნახატები ვახტანგ გულისაშვილისა

ესერის ისარს, ჩიტი გაფრინდება, ისარი კიდევ სადღაც მაღალ ბალახებში ან ჩირგვებში ჩაიკარგება. დადის იმ ბალახებში ბათური, დააბლარჯუნებს ჩირგვებში, ხელით ვწევა აქეთ-იქით, წიხლებით ქელავს, ისარს დაეძებს, ძნელია ისრის პოვნა, მაგრამ ბოლოს მაიც პოულობს.

ჩუმად გეტყვით ყურში,—ჯერ არც ერთი ჩიტ არ მოუკლავს, მაგრამ იმედი დიდი აქვს, დღეს თუ ვერ მოკლა, ხვალ მოკლავს, ხვალაც თუ ვერა—ზეგ აუცილებლად მოკლავს, და ასე გადის დღეები, კვირები და თვეებიც კი.

დღეკმებერში ერთი ამბავი გადახდა. ეს ამბავი ცალკე მოყოლად ღირს.

ბათურის მამას, გლიზბარს, ბაღში თივის ბუღუღი ედგა. კირხლები რომ დაიწყა, ის ბუღუღი ეფრემა ძიას მისცა. ეფრემა ძია თავისი „ზილით“ მოვიდა, ზედ ღობესთან მოაყენა. თუითონ მანქანის ძარაზე ავიდა, ფი-

წალი მოიმარჯვა, მამა კიდევ დაბლიდან აწვ-
დიდა თივას. მთელი ის დიდი ბუღალა ერთ
გზობაზე დაუდგს. დაქოქა ეფრემა ძიამ მან-
ქანა და წავიდა. საოცარი იყო! თივა ძარი-
დან ერთ მხარესაც გარეთ იყო გადმოსული,
მეორე მხარესაც, მაგრამ მაინც არ იზნეოდა.

ღარა ღობის აქეთ მრგვალი, შავი ნაბუ-
ლულარი. იმ ნაბულულარზე ჩიტები მოდი-
ოდნენ,—ბევრნი, ბევრნი, „ათასნი“ (ასე ამ-
ბობდა ბათური), ბალახის თესლებს კენკავდ-
ნენ. აბა, იმდენ ჩიტთან მშვილდ-ისრით რას
გახდებოდა! გამოიტანა მარნიდან დიდი ლას-
ტი, დააყუდა ნაბულულარზე, შეუყენა ჯო-
ხი, ჯოხს სარეცხის თოკი გამოაბა—გრძელი,
გრძელი, მაგრამ ის თოკი მაინც ვერ მისწე-
და საქათმემდე, სადაც ბათური უნდა დამა-
ლულიყო. მაშინ რა მოიგონა! მოაგორა ერთი
ძველი, ძირგამოცვეთილი გოდორი, თოკის
ბოლო შიგ შეაძვრინა, თვითონაც შიგ შეძვ-
რა და იქიდან დაუწყო ჩიტებს თვალთვლი-
ცოტა ხანში ესეც არ იკმარა,—გოდორი
იდაყვებს და მუხლებს მტკენსო,—გამოიტანა
მამის ძველი ბალტო, გაავო გოდორში, წაწ-

ვა ზედ რბილად და ახლა უკვე ღიმილით
განაგრძო თვალთვალი,—ეს რა ყოჩაღი და
მოხერხებული ბიჭი ვარო.

ჩიტები კი მოფრინდებოდნენ ღრუბლებს
ისხდნენ. ხან ნაბულულარისკენ იყურებოდ-
ნენ, ხან გოდრისაკენ. რაღაცებსაც გადასძა-
ხოდნენ ერთმანეთს,—ჟივ-ჟივ! დაიძახებდა
ერთი,—ჟივ-ჟივ-ჟივ!—მიუგებდა მეორე—გა-
დაფრინდებოდნენ ერთი ადგილიდან მეორე-
ზე, ძირს კი, ლასტთან, ვერც ერთი ვერ ბე-
დავდა ჩამოფრენას. არადა, საცაა დაღამდე-
ბა. დეკემბერში ხომ ძალიან ჩქარა ღამდებდა
სკოლის შემდეგ!

დაიღალა ბათური, დაღალა კისერი და
წელი, ეტკინა იდაყვებიც, დაწვა გვერდზე,
თავქვეშ ხელი ამოიღო, ასე ვიქნები და ასე
ვუყურებ ჩიტებსო. ჩიტები მაინც არ ჩამო-
დიოდნენ ნაბულულარზე. მაგრამ მერე, ბევ-
რი, ბევრი ჩიტი ჩამოფრინდა ერთად. დაიწ-
ყეს კენკვა. დახტოდნენ, ერთმანეთს ახტე-
ბოდნენ, ფრთებს მალა სწევდნენ, მარცვლე-
ბი ყელში ეჩხირებოდათ, მაინც ყლაპავდნენ.
მოზიდა თოკი ბათურიმ, გამოჰქრა. წამოვიდა



ლასტი, დაემხო, დაემხო და ბათურიც ჩიტებთან ერთად მოიყოლა. არის უამრავ ფართხალა, ფრთხვფრთხა ჩიტებში ბათური, ხელებს მიაღვენებს, ეხება, მათ სითბოს გრძნობს. თან უკვე ლასტის ქვეშ კი აღარ არიან, ოთახია, ჩიტებიც ოთახში ირევიან, ბევრი, ბევრი, მათი ჟრამული უკვდავს ყურებს. მიფრინავენ ჩიტები მალა, ბათურიც მიჰყვება, ისიც მიფრინავს და...

— აქ არის, აქ არისო! — დაიძახა ვილაკამ და გაჭრნენ ჩიტები, გაჭრა ოთახიც.
— ჩემი ჩიტები! ჩემი ჩიტები! — სწევდა ხელებს მალა ბათური, მაგრამ მალა ბნელი ვარსკვლავებიანი ცის მეტი აღარაფერი იყო. ბათური მამას ეჭირა ხელში.

ხომ მიხვდით, რაც მოხდა?
მეორე დღეს უკვე მთელ სოფელში ყვებოდნენ: ბათურისო, ფხიკელაშვილების პატარა ბათურისო, ბაღში გოდორში დასძინებია, უძებნიათ, გვიან ღამისას ძლივს უპოვიათ. რომ უპოვიათ, ჭირხლი ჰქონია დადებული ზედაო, მაგრამ განა გაცივებულა, უბრალო სურდოც კი არ შეხვედრიაო.

— იმას რა გააცივებს, ქალო, მეზურნესავით აქვს დაბერილი ლოყებიო! — ამბობდნენ ერთნი.

— კარგი მკამელია და იმიტომაო, — უმატებდნენ მეორენი.

ტოლი ბიჭები, ტოლებიც და ცოტა დიდებიც, თავს ღუნავდნენ და მორიდებით ეღიმებოდნენ ბათურის დანახვისას. გოგოები იცინოდნენ უხმოდ, იგუდებოდნენ სიცილით. მაგრამ ბათური იმ დღიდან კიდევ უფრო გულმოდგინედ იწყობს ჩანთაში საჭმელებს. ჩაწყობს — ყველს, პურს, ვაშლებს, მერე ჩაყუნავს წიგნებსა და რვეულებს, აიღებს იმ ჩანთას და მშვიდად მიდის სკოლისაკენ.

ერთხელ დამ წასძახა, — მძინარაო! — და მალა იდგა, აივანზე, ბათური დაბლა, ეზოში.

იმ წამსვე ზრიალით ჩამოიხსხვრა ფანჯრის მინა.

ამის შემდეგ აღარავის გაუბედია მძინარას დაძახება.

ადვილი ხომ არ არის, ისიც ზამთარში, ფანჯრის მინების ჩასმა.





მოგილოცავთ ჩვე მარჯს

გივი ჰიჭინაძე

ქაღდა დღეო—ნანატრო,
 გამარჯობა—ჩვე მარტო!
 თოჯინები გვესტუმრნენ,
 გვესურს—ნადიმი გავმართოთ...
 მოღით, მოღით, ნახეთ მართლა
 დრუნჩა დათვმა რა მოგვართვა!
 თაფლი ერთი ქილა.
 ბატონინმა—ბატონულტი,
 ზღარბუნიაძე—ჭრელი ბურთი,
 თუთიყუშმა—ერთი ყუთი

შოკოლადის ფილა...
 აბა, ჰერი! მოფუღინოთ!—
 შემოსძახა ბურატინომ,
 თან მაღლა სწევს
 ღიმონათით საფეხს ჭიქას დამაზს:
 — გოგონია-თოჯინებო,
 კოხტებო და ჭკვიანებო,
 მოგილოცავთ,

მოგილოცავთ
 ამ სანატრელ ჩვე მარტს!

ხაკი და გრეჟორი

ბარიელ ხავთასი

ტრაქტორმა უთხრა ნიკორას:

— ხარო, რად მოგიწყენია?
— რაც შენ სოფელში ამოხვედი,
რა ვქნა, ვერ მომისვენია.
გუთანში არეინ არ მბაბამს,
უქმად დგომა კი მრცხვენია.
ეს ჩემი სახნავ-სათესი
შენ მოგიხნავს და გითესავს,
შენს საჭეს მართავს ამაყად
ჩემი პატრონი ქიტესა.
— რა ვქნა, რა ჩემი ბრალია,
დღეს სუდ სხვა დროა, ნიკორავ.
ის შენი გუთან-სახნისი
იყო და არა იყო-რა.—
დინჯად მიუგო ტრაქტორმა
და წინ გუგუნით გასწია,
თვალუწვედნელი მინდორი
ერთ წამში ხნულად აქცია.



ანი, ბანი...

მარი აბრამიშვილი

— ანი, ბანი, განი...
აბა, განი, განი!
სკოლისაკენ მიუფრენ,
როგორც ლალი ქარი,
ჩაკრული მაქვს გულში
მოწყრიალე ქნარი:
ჩემი „დედა-ენა“
და „ბუნების კარი“.



ამუნია

პაწაწინა თამუნია
შეაშინა ამუნიათ,—
დაისაჯა ამუნია,—
იმ დღის შემდეგ დაბმულია.

ბაჯითი გოგონები

ორი დაიკო—ია და იზო
სადილის შემდეგ დიასახლისობს:
ია თეფშს რეცხავს,
იზო ამწრალებს,—
მორჩინენ საქმეს და
წიგნი გაშალეს.



ძამიკო უთხრა ძამიკოს

ძამიკომ უთხრა ძამიკოს:
დამჭირდა შენი შეველაო,
ამ დოქს წყარომდე მე ვზიდავ,
წყაროდან ზიდევ შენაო.



ლოკმუხადა

ძლივსლა სუნთქავს ჩვენი ღორი,
ძირს ავღია, როგორც მორი.—
განა წყალით, განა რკოთი?!
გაბერილა საზამთროთი.



აინონა

სასწორზე შედგა მელია,
თქვა:—არას მარგებს
წოლა მე,
ათი ქათამი მაკლია
კიდევ ნორმალურ წონამდე



ჭალკუი

ენოს ბეზარაშვილი

ლევანი აივანზე გავიდა, რიკულებთან პურის ნამცეცები დაყარა ჩიტებისათვის, მერე მოაჯირ-

ზე აკოკოლავებული თოვლი მკლავით გადწმინდა, ზედ დაეყრდნო იდაყვებით და დაეჭობებინა.

ს. ხუციშვილი

სახლის ქვემოთ ჰალაა; ცაცხვი, ნეკერჩხალი, წაბლი, რცხილა და კიდევ რას იტყვის კაცი, რომ იქ არ იდგეს. ხეების ქვეშ პატარა წყალიც მიდის, მაგრამ არაფერი არ ჩანს, ისეა ჰალა თოვლში გახვეული.

ბარდნის. სიჩუმეა. ლევანის სახლის მეორე მხარეს ავტობუსები რომ დადიან, იმათი ხმაც აღარ მოდის. ხანდახან სიცივისაგან ფრთხილდებულად ჩიტი მოფრინდება ხოლმე აივანზე, ნამცეცების ასაკენკად „ჭიკ-ჭიკო“, ის თუ გაიღებს ხმას, სხვა არა ისმის რა.

დგას ლევანი აივანზე. ჰალას გამყურებს. უცბად, ჰალის პირას, ახალ ნარგავებთან რაღაც შეტორტმანდა, თითქოს თოვლიც მოზვავდა და, „ტაკ-ტაკ“—ყურად მოესმა ბიჭუნას, კიდევ იყურა ლევანმა იქით, მაგრამ ვერაფერი ვეღარ დაინახა.

თითქმის მთელ კვირას ითოვა—დღისითაც, ღამითაც. მერე როგორც იქნა გადაიღო. დღეებში იღო გაყინული თოვლი ხეებზე, მხოლოდ თებერვლის ბოლოს ჩამოლხვა. მალე კვრატებიც გამოიტანეს ტოტებმა და ჰალა ისევ შეიფოთლა. ჰალის ზემოთ პატარა მოედანიც ისევ ავიწყვდა. ბიჭები საღამოობით სულ იქ იყრიდნენ თავს საბურთაოდ. და, აი, ერთხელ, ბურთი (ვინ მოსთვლის მერამდნედ) ჰალაში გადაუვარდათ. ლევანი გაიქცა მოსატანად ახლა იმისი უკრი იყო. ბიჭი სადღაც მიწაზე გაფართხულ ტოტებთან წამოეწია ბურთს. აილო, მაგრამ ეს რა არის? ხეები აშოლტილები დგანან. ერთი ცხენის წაბლი კი წაქციულა, პატარაა, ორი-სამი წლის დარჯული იქნება, მეტის არა. ძირი წვრილი და სწორი აქვს, ტოტები მხოლოდ წვერში გამოუტანია. შარშან გაზაფხულზე პირველად გაეშალა თითო-ორიოლა ყვავილი. ზაფხულის დამლევს კი წითელი ზოლები შემოვივლო დაკბილულ ფოთლებზე და ჰალას შნო და ლაზაით შემატა. ახლა უმწეოდ გდია მიწაზე, ძარღვებივით ერთმანეთში ჩახლართული ფესვები მთლად მალდა უყრია.

— მოიტა ბურთი, ეე, რალას უყურებ!—იძახიან ბიჭები მოედნიდან.

ლევანი წავიდა, ბურთი ბიჭებს გადაუგდო.



თვითონ ისევ ხესთან მივიდა, დახედა, ჩააკვირდა.

— საწყალი, ნეტავ რამ წააქცია? თითქოს ადამიანის ხელით არ უნდა იყოს! — თქვა გულში ბიჭმა და უტბად წამთარა მოაგონდა, თვალწინ დაუდგა თოვლში გასუსული კალა. ლევანმა წემოთ ახლად აშენებული დიდი სახლისკენ გაიხედა. იქ თავის აივანს შეავლო თვალი და მიხვდა: აქ იყო, სწორედ აქ, რალაცა რომ შეტოტმანდა. მაშინ ხშირ ფიქტებში კარგად ვერ გაარჩია რა მოხდა, ახლა კი ევეციც არ ეპარება, რომ ეს ლამაზი ხე თოვლმა დაამძიმა და წააქცია.

„ჯერ ნედლია, ზაფხულში მზე დააქერს და გახმება“, — გაიფიქრა ბიჭმა. მერე მოედანზე ბურთაობით გატრულ, თავის კარის მეზობელ ზურციოს გასძახა: „ახლავე მოდიო“.

ზურციომ მაშინვე მოირიბინა, თან გივიც მოჰყვა.

— უყურეთ ერთი, როგორ წააქცია თოვლმა! — შესჩვილა ბიჭებს ლევანმა.

— თოვლმა? — გივიმ და ზურციომ სიბრაღულით დახედეს წაქცეულ ხეს.

— ჰო, ჩემი თვალით დავინახე წამთარაში.

— მერე, ჩვენ რა ვუშველოთ? — იკითხა გივიმ.

— მომხმარეთ, ხელმეორედ ჩავრგოთ, იქნებ გადაჩრეს.

— ჩავრგოთ, ბარს მე მოვიტან! მამაჩემმა, აივანთან ვაზები რომ ჩაყარა, მგონი, საჩდაფში შეინახა. — თქმისთანვე ზურციომ სახლისკენ მოკურცხლა. ლევანი და გივი კი ჩაცუცქდნენ, ფრთხილად გამოაჩრჩეს მიწიდან ფესვები, მერე ციმციმ ასწიეს ხე და ცოტა ქვემოთ დადეს. ამასობაში ზურციოც მოვიდა თავისი ბარით.

ბიჭები საქმეს შეუდგნენ. რიგრიგობით თხრიდნენ ორმოს. კარგა ღრმად ამოთხარეს, მარტო ფესვები კი არა, ალბათ ერთი-ორი მტკაველი ძირიც მოჰყვებოდა შიგ. ხე ისევ თავის ადგილას ჩარგეს, მიწა მიაყარეს და ფრთხილად დატკუნეს.

მას შემდეგ ბევრმა წამთარმა და გაზაფხულმა ჩაიარა. ახლა ზაფხულის პირია, ღამეა, გრილი წყნარი ღამე, კალაში ხეები ჩამუქებულ-ჩაბუნდებულები დგანან. მხოლოდ ერთ ხეს გადასდის შუქი; დიდრონ ღონიერ ტოტებზე მალალ-მალალი თეთრი ევაკილები გაშლია და სიბნელეში სანთლებივით ბღღვრიალებენ. ეს ხე, იმ პატარა ბიჭუნების გადარჩენილი წაბლის ხეა.

ჩვენი ჯგო

კ. გომიასვილი

რეზო ვაჟს რგავს,
ჩიტო — ჩითილს,
ბადურტი — ბარავს,
გოგი აკებს ოსტატურად
სათვალთვალ კარავს.
ჩვენს ირაკლის ძლიერ უნდა
კონდარი ჭქონდეს,
რომ სიცხეში, ბაღანებში
გაგორდ-გამოგორდეს.
ეკუნიას ბოსტანი სურს,
ქინძს და კამას თესავს,
გოგობა კი სალესავით
შატარა თოსს ღესავს.
შაწაწინა გოგო ირმა
ნარგავებში არც ჩანს,—
დაცუნცულებს სარწავით და
თავს ევლებს ბაღანს.
სის ძირს ჩადვა
გრძელი სკამი,
ელიძება შაშას,
ჩამოჯდება და შატარებს
მოუყვება სღაშანს.




სეპა, ქართველი

ლილა მარაძე

გამოვიგვალთუ ჩოხაში,
შევიბი ქაშარ-სახჯალიც,
თუშური ქუდიც მოვიგდუ,
ჭრელი წინდებიც მხად არი.

წულა-მესტებიც ჩავეცვი,
აბა, ჰე! მორცხვი როდი ვარ,
„დიმიტაური“ დასცესთ და
მეც საცემკვად მოგდივარ!



პრინციპული
გინორიონე

აქა

სულ არ იღუება, მთელი დღე
პრომაში არის გართული,
მისი წუალობით ედგმება
სახლების სართულს-სართული.

რა დგვის დონე ჰქონია,
ბლოკებს იტაცებს ციმციმით,
წადმა-უგულმა ტრიალუმს,
არ იღუნება სიშიმით.

უნჩას მიუგავს კისერი,
ხან აქა პროპობს,

ხან-იქა,

ახალ სასწავლო წელიწადს
ახალი სკოლა, არიქა!

ხანტები ეღუარდ ამგოპაძისა

ზღვის მეფის და- მარცხება

როდამ ჩაჩანიძე

დიდი ღურჯი ზვიგენი ბრძოლის ველიდან დამარცხებული ბრუნდებოდა. რაც თავი ახსოვდა, ეს პირველი ბრძოლა წააგო. თავი კი დიდი ხანია, რაც ახსოვდა. ჯერ კიდევ ცეროდენა იყო, მბიურის ველის ყურეში თვლი რამ გაახილა და წყად-ქვეშა სამყარო გაიხილა.

ერთ რამზე ღირდა მბიური ველის ყურე. ირგვლივ სულ მთები ერტყა. შორეული, ღურჯი მთები. მთების ამ უშველებელ წრეში ტბასავით იდგა მომწვანო, მარად თბილი წყალი. წყლის ქვეშ მზის სხივებს გაენათებინა ხასხასა მწვანე ველი, პატარა ბუჩქნარები, მრავალი მომცრო მცენარე, რომელიც წყადში იბადებდა და აქვე კვებდა.

ყოველივე ეს ისეთი ღამაში და მომზიბვლიდ გახდებოდა, რომ მაშინვე შეიყვარა ღურჯმა ზვიგენმა და საცხოვრებლადაც აირჩია. ნადირობის შემდეგ ყოველთვის აქ ბრუნდებოდა, მწვანე ბუჩქნარებს ზემოთ გაწმენდებოდა და საათობით იდგასე მდუმარე და უმოძრაო.

ყველაზე უფრო ეს წუთები უყვარდა. ზღვის წყლის მიერ ოთხფერად დაშლილი მზის სხივები ბურგზე ეცემოდა და სიამოვნებდა, იქვე ახლს მისი განუყრელი თანამგზავრები—პატარა თევზები—ლაცმანი და ეჭანი დასრიალებდნენ.

ეს თევზებიც მიიწვივნენ პატრონს. ღურჯ ზვიგენს აღარც კი ახსოვდა პირველად როდის ვახდნენ მისი ერთგული მეგობრები. მოსრიადნენ, მისთვის არაფერიც არ უკითხავთ, ლაცმანი კეფით ყველს ქვემოთ მიიწვება, ხოლო ეჭანი უფრო ქვემოთ—მუცელზე. მის შემდეგ აღარ მოშორებოდა. ყველგან დაჰყვებოდა, ბრძოლაშიც და ღზინშიც.

ღურჯი ზვიგენი ნანადირევს კარგად გამობრავს; მისი თანამგზავრები ძვლებს მიცვივებოდა და იმდენ ხორცს მაინც პოულობენ, მუცელი რომ ამოიკორონ.

სამაგიეროდ სანადიროდ გამოსულ ზვიგენს წინ

მიუძღვებიან და საკბილოს ემებენ. ზვიგენი რომ ბეცია და ცუდად ხედავს. ეჭანი და ლაცმანი პირიქით, ძალიან კარგად ხედავენ ყველანაირს. ერთხელ ღურჯი ზვიგენი ჩვეულებრივად იხსენებდა. ლაცმანი და ეჭანი მის ირგვლივ დაქროდნენ და სხეულიდან აბეზარ პატარა მწერებს აშორებდნენ. ერთბაშად, ზღვის კომბოსტოს ქვემოდას, პაპა დანგუსტი გამოლოლდა. პაპა დანგუსტს ტანი ჩვეულებრივად დიდ სტაფილოს მიუგავდა. ჰოდა, ახლა ეს ტანი ძლივს აათრია კომბოსტოს გაშლილ ფოთოლზე და უშველებელი უღვაშები ააცმაცუნა.

— გამარჯობა, ზღვის მეფეო.

ღურჯ ზვიგენს არ უყვარდა პაპა დანგუსტი. არ უყვარდა იმორე, რომ მისნაირი ცრუპენტელა და გაიმყარა მეორე არ დადიოდა ზღვის ქვეშ. მარტო ზღვის ქვეშ კი არა, მგონი ზღვის ზეითაც.

— დიგებული სანახავი ხარ, მეფეო. მე ასეთი ღამაში და მოქნილი არსება სხვა არავინ მინახავს ზღვის ქვეშეთში.

ზვიგენები ხომ სხვებიც არიან, მადლობა ბუენებას—დიდი ოჯახი გაქვთ. ეს ვეფხისებური ზვიგენიო, ეს ზვიგენი-ნერხიო, ჩაქუჩა, სკაროსული და კიდევ მრავალი. ბევრნი ხართ, ბევრნი, მაგრამ შენნაირი არც ერთი არ არის, ყველას ჯობეში ჩაისვამ.

მაცუარა, ცრუპენტელა დანგუსტი ახლა ნაღდ სიმართლეს ამბობდა. ღურჯი ზვიგენიც შეინძრა და ქვევით ჩასძახა:

— დაშაქრული ენა გაქვს, პაპა დანგუსტო, შენ დეფიკამიავ, შენა! სიღამაზეს რომ ამჩნევ, აბა, ერთი ბრძოლაშიც გენახე!

— ბრძოლაშიაც მინახხარ, მეფეო. გახსოვს? დიდ უშველებელ კადმარს რომ შეები. ჯერ იმან მოგიგლო თავის ცაცებში და კიდევ ვიფიქრე, ღურჯი ზვიგენის საქმე წასულია მეთქი, მაგრამ ამ მარწმუნებოდან მალე გამოვარდი, ერთ წუთს სული მოითქვი, მეფე აღმართე საბრძოლველად შენი ბასრი მახვილი—ბურგის ფხა, კადმარს ეკვეთე და მუცელი გაუფატრე. სისხლის სუნი რომ გეცა, მთლად გაცოფდი, შემობრუნდი და იმ ცაცებიან უჩხულს პირდაპირ ნისკარტსქვემოთ დაეტაკე. ეს იყო და ეს, დამარცხებულს მტერი აღარც გაუბრძოლდა.

ამასაც სწორს ამბობდა დანგუსტი, მაგრამ ეს



როდის იყო!.. ჰე, მას შემდეგ ბევრმა მარილიან-
მა წყალმა ჩაიარა. ახლა კი დამარცხებული ბრუნ-
ებოდა ღურჯი ზვიგენი. ისიც კი ეგვივებოდა,
მწვინობით მიაღწევდა თუ არა თავის მყუდრო
ბინამდე. დამაბი, კოხტა ფარფლები დაფლეთილი
ჰქონდა და წონასწორობის დაცვა უჭირდა. ორი
ღრმა ჰრილობა ზურგზეც აჩნდა.

ყველაფერი ეს კი დილით დაიწყო. ღურჯი ზვი-
გენი მწვანე მოდის თავზე ნებივრობდა, იგრძნო,
რომ სადღაც ახლოს დედფინების ქარავანი მიდიო-
და. ღურჯმა ზვიგენმა იცოდა, ქარავანს ბოლო-
ში ყოველთვის სუსტი, ავადმყოფი დედფინები
მიჰყვებიან. კული მოიქნია და იქით გაცურა,
საიდანაც ქარავნის ხმაური ესმოდა.

ქარავანი დიდი იყო. ჩასუქებულ-ჩაკურატებუ-
ლი, მძლარი დედფინები წყლიდან ზტუბოლდნენ და
ჰაერში ყირას კიმავედნენ.

ღურჯმა ზვიგენმა დაუცადა, როცა ქარავანი
მიიმადა, ერთი ბანცადა დედფინი აირჩია და
გამოუდგა. საწყალი ძლივს მიცურავდა და ზვი-
გენიც ადვილად წამოეწია. წინიდან შემოლუარა.


დედფინი შეჩერდა, ისიც საბრძოლველად მოემ-
ზადა. ზვიგენმა ამასობაში დედფინის ირგვლივ
იწყო თავისი ტრადიციული საბრძოლო წრის

გარშემოვდა. წრეს თანდათან ამცირებდა, გუბნულ-
ლოს ზედ მიადგა საკბილოს, სწრაფად მთავრდებოდა.
გაქანდა. თან ერთბაშად გადაბრუნდა, რათა კბი-
ლები მუცელში ჩაეველო. ზვიგენი იმიტომ გადაბ-
რუნდებდა ხლამე, რომ ბასრი კბილებით გამოტე-
ნილი პირი გრძელი ცხვირის ქვემოთ აქვს და
გადაუბრუნებლად მსხვერპლს ვერ მიწვდება.

დედფინი გამოცდილი გამოდგა. ზვიგენის ფანდს
არ წამოეგო და მაშინვე გვერდზე განტა. თავისი
იხვისებური ნისკარტით უცნაურად დაუსტვინა
და თვითონ უკბინა ზვიგენს.

ეს მოხდა რალაც წამებში. მერე ღურჯი ზვი-
გენი დარწმუნდა, რომ დედფინის საბრძოლო სტეგ-
ნას უქმად არ ჩაუვლია, მარჯვნიდან და მარცხ-
ნიდან, ზემოდან და ქვემოდან სულ ჯველი, ჯანი
და ლხენი რომ ეჩლოდათ, ისეთი დედფინები გა-
მოფინდნენ. ზღვის უგვირგვინო მეფეს რაც დღე
დაყარეს, ორ კაცთანაც კი არ ითქმება. ახლა
ისიც უკვირდა, ცოცხალმა როგორ გამოასწრო,
ანდა იმ ამბის გადამტანს, სული კიდევ როგორ
ეგდა.

ბანცად-ბანცადით ბრუნდებოდა დამარცხებული
ღურჯი ზვიგენი თავის სავანეში, მზიურნი ვეღვი
ყურეში.





ბებოს ქოლგა

ივარი ხარაძე

აიქროლა, დაიქროლა,
 ცემა ქარმა ჩაიქროლა,
 ბებოს ქოლგა გამოსტაცა,
 თავის გზაზე გაიყოლა...
 ეს ვინ არის, ქარზე სწრაფად
 რომ აიქროლ-ჩაიქროლა?
 ვინ მიართვა ბებოს ქოლგა?
 ლევანიკომ—თითისტოლაძე!..

თავსუხუნი

ჳ	მ	ფ	ჩ	ხ	ი														
ლ	ი	ძ	ზ	ვ	ი														
				ა	ღ	ა	გ	ა	ბ	ი									
						მ													
						ა	ხ	ა	გ	ვ	ი								
						ქ	ი	ი	ხ	მ	ღ	ა							
						გ	ზ	ხ	ვ	ა	ი	ი							

სხვირს გაღუ ვინ იხვს?!

მამა და შვილი შემოსული უნის ზირას იდგნენ. შვილი დააცქერდა უნას და ჰკითხა: „მამილო, ეს რისგან არის, რომ ზოგი თავთავი მირს არის დაშვებული, ზოგი კი შვეით აშუქრილია?“

მამამ უნასუხა: რომელი თავთავიც სხუნეა მარცვლებითა, ის თავდაღუნული არისო, ცარიელი ფშუტა თავთავი კი უაღუესა დგასო. ასეუვა ადამიანიც. შეუენებელი კანცისვირს მადლა იწვეს. მას თავისი თავი ევლახე უკეთესი ჰგონიაო.

შეავსეთ ცარიელი უჯრედები საქართველოს მდინარეების სახელწოდებებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ ქალთა საერთაშორისო დღე—რვა მარტი.

შეადგინა თელავის რაიონის, სოფ. კისისხევის საშ. სკოლის მოსწავლემ დავით პეტრიაშვილმა.

გამოსახუნი

დავაბამ, დაღის,—ავუშვებ ღვას.

დავკარ ხმალი—არ დაჩნდა კვალი.

წყალში ჩავაგდე,—წყლად გადაიქცა
 ცეცხლში ჩავაგდე,—ხმად გადაიქცა.

ენის ვასუტეხი

ერთსა კაცსა ბლისკინელსა, ბლის
კალათით ბლის ხიღზდა, ბალი
გააქეს და გამოაქეს.

ბაყაყი მყაყე ქაობში ბაუბაყებს
ბაყბაყდევვივით.

გაუაუხუდი

ბიორბი სამხარაძე

აბიბინდა მინდორ-ველი,
მოჩანს მიწა გადახნული
და მერცხალმა მოჭიკჭიკემ
მოგვილოცა გაზაფხული.
მოჩხრიალებს მთიდან წყარო
და ლიკლიკით დავლურს
უვლის.
ქიშკრებს აღებს, თანჯრებს
აღებს
ვარდისფერი გაზაფხული.


ოქუსი

არღმეტი

კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო.
ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენიდან“





ნახტი მიხეილ სოლოვიოვისა

ამა მხარეაღივრულა მორტოგორლის მსაგორებისა ის მორტოვილო გავლილო რომოვლამა ფინივის ხაზი პირმელამ გარაკვამთა. მარაკა ფორტოსრათხა მორტოვილოს მსოლოლე პართი ღებალი გარემოვლა ღაკაკირ-ღი ამა მხარეაღივრულას გარალივრულ ფორტოსრათს ღა გივასსუხა—მინ ბიმიარგვამ მორტოგორულამ.

მიჯარი რექტორი შუხრან მამაპარიანი

ზარექტორი კოლეჯია: ბანორ ბაულაზვილი, ეღარალ ამოტამა, კაჟარი გოპიაზვილი, ლილა მარა, მამალა მამოლოზვილი, ჯიოზირ მუჭიბი, გიოკიბი რომინიზვილი (საშ. რექტორი), იორან ამეირამელია (ა/მგ. მლივანი) რუმბარ ღარიბაზვილი, გიმი კნელამა

საქ. ალექ ცე-ისა და ვ. ა. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ტურნალა. ეღაზე ნახტი ეღარალ ამოტამიხა. გამორეკევის 51-ე წელი.

ტექნექტორი ენლი ვინამთელი

მიხმაროი რექტორი, კამოტელობის, სტამბის—ბიბიუსი, ლენინის, 14, ტელ. მი. რექტორის—93-41-30, 93-98-15, ა/მგ მლივანი—93-10-32, 93-98-17; საშ. რექტორის—93-98-18; ვანუფ — 93-98-19; სახეღენისი — 93-98-16

გადედე ასაწომოზე 16/XII-77 წ., ხელმოწერილია დასებულამა 15/II-78 წ., ქალაღლის ზამა 60X90წ., ფიხ. ნახ. ფურც. 2წ, ტირაჟი 157.000. ზეფ. № 3790. „დიალ“ № 3. ღა გრიუნისკი ავსილე. ფამა 20 კამ.

საქ. კმ ცე-ის
გამომცემლობა
Издательство
ЦК КП Грузии